ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფინანსო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის მიერ 2015 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურმა 2015 წლის 6 თვეში უზრუნველყო მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტაციის საფუძველზე, მუნიციპალური პროგრამების საფინანსო გაანგარიშება - დასაბუთება და შესრულება, ბიუჯეტის სახსრების მიზანშეწონილად გამოყენება. სამსახურის მიერ უზრუნველყოფილი იქნა მუნიციპალური შესყიდვების განხორციელება და საკრებულოსა და გამგეობის მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფა.

სამსახურის შემადგენლობაში შედის სამი განყოფილება - საბიუჯეტო, ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების და მუნიციპალური შესყიდვების და მატერიალურ ტექნიკური განყოფილება, აღნისნულმა განყოფილებებმა მათზე დაკისრებული მოვალეობები დამაკმაყოფილებლად შეასრულა.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებმა 6 თვეში შეადგინა 2807,2 ათასი ლარი, მ.შ. საგადასახადო, არასაგადასახადო და არაფინანსური აქტივების კლების შემოსავლებმა შეადგინა 743,8 ათასი ლარი. გათანაბრებითი ტრანსფერი მიღებულია 1695,4 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი 91,8 ათასი ლარი, სპეციალური დანისნულების ტრანსფერი 61,3 ათასი ლარი. სხვა დებიტორული დავალიანებებიდან შემოსულია 214,9 ათასი ლარი

6 თვის შესრულებით ფაქტიური ხარჯი შეადგენს 2 749,6 ათას ლარს.

მ/შორის: მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოების 6 თვის ათვისება შეადგენს 308,5 ათას ლარს.

- აღმასრულებელი ორგანოების შენახვაზე 6 თვის შესრულებით 595,4 ათასი ლარია გახარჯული;

- სარეზერვო ფონდი განსაზღვრულია 2015 წელში 45,0 ათასი ლარი გახარჯულია 27,0 ათასი ლარი , წლიურის 60%-ია.

2015 წელში თავდაცვის ღონისძიებებზე – სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის შენახვაზე (მიზნობრივი ტრანსფერი) გახარჯულია 51,3 ათასი ლარი,

2015 წელში სახანძრო დაცვის სამსახური მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გრანტის სახით გეგმით ფინანსდება 200,0 ათასი ლარით, ფაქტიურად გახარჯულია 99,9 ათასი ლარი;

- საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციაზე 49,5 ათასი ლარი გაიხარჯა.

- კომუნალური სამსახური ,,სხივი"-ს გახარჯული აქვს 178,4 ათასი ლარი.

- ა(ა)იპ ,,კურორტი ბახმარო"-მ გახარჯა 24,1 ათასი ლარი.

- შენობების ტექნიკური პასპორტების და მიწის საკადასტრო აზომვითი ნახაზების - დაბის კეთილმოწყობის ხარჯებმა შეადგინა 29,2 ათაი ლარი.

- საანგარიშო პერიოდისათვის სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსებამ 37,1 ათასი ლარი შეადგინა.

- სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა და განვითარება საწყის ეტაპზე ფინანსდება - 10,0 ათასი ლარით; ათვისება 0,5 ათასი ლარი.

2015 წელში ა(ა)იპ სკოლამდელი და სკოლისგარეშე საგანმანათლებლო საამღზრდელო დაწესებულება ,,მომავალი"-ს შენახვაზე გეგმით 690,0 ათასი ლარია განსაზღვრული, 6 თვის შესრულებით გახარჯულია 341,8.

ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის შენახვაზე ფაქტიურად გახარჯულია 45,5 ათასი ლარი.

2015 წელში განათლების სისტემის ხელშეწყობის პროგრამას 20.0 ათასი ლარი მოხმარდება გეგმით, 6 თვის შესრულებით გახარჯულია 10,0.

ა(ა)იპ სპორტის განვითარების ცენტრის სუბსიდირებაზე გახარჯულია 62,5 ათასი ლარი .

ა(ა)იპ სასპორტო სკოლის სუბსიდირებაზე გახარჯულია 98,3ათასი ლარი.

შ.პ.ს. საფეხბურთო კლუბ ,,ბახმარო 2009“ – ს სუბსიდირებაზე ნგახარჯულია 99,9 ათასი ლარი.

2015 წელში გურიის მხარის ოლიმპიური კომიტეტის ჩოხატაურის ორგანიზაციის დაფინანსებაზე გეგმით გათვალისწინებულია 4.0 ათასი ლარი, დაიხარჯა 0,6 ათასი ლარი.

- ა(ა)იპ კულტურის ცენტრის სუბსიდირებაზე დაიხარჯა 136,7 ათასი ლარი.

- ა(ა)იპ საბიბლიოთეკო გაერთიანების ხარჯებმა შეადგინა 48,5 ათასი.

- ა(ა)იპ სამუზეუმო გაერთიანებამ გახარჯა 73,2 ათასი ლარი.

- ა(ა)იპ სახელოვნებო სკოლის სუბსიდირებაზე გაიხარჯა 44,6 ათასი ლარი.

- ა(ა)იპ სამუსიკო სკოლის სუბსიდირებაზე დაიხარჯა 51,2 ათასი ლარი.

- ახალგაზრდული ღონისძიებებისდა ტურიზმის პროექტების თანადაფინანსებაზე ფაქტიურად გაიხარჯა 11,9 ათასი ლარი.

- საახალწლო ღონისძიებების დაფინანსებაზე 4,9 ათასი ლარი გაიხარჯა.

- რელიგიის დაფინანსებაზე გაიხარჯა 4,4 ათასი ლარი.

- საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრმა გახარჯა 37,3 ათასი ლარი.

- სოციალურ დახმარებებზე საერთო მოცულობაში გახარჯულია 270,2 ათასი ლარი.